ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური

KA010143763294515

№25/56276

17 / ნოემბერი / **2015** წ.

შპს თბილისი ჰაუსი.
საქართველო, ქ. თბილისი, ცაგარელის 76, 1 სართ.
საოფისე ფართი 61

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური, თქვენი 13.11.2015 წლის #79644/07 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი მცენარეების (მათ შორის ბალი, ატამი, კარალიოკი, ლეღვი, კომში, ტყემალი, ქლიავი, ბროწეული, ჭერამი) მოჭრა-გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო სულხანიშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური

KA010165070148415

№25/69467

03 / დეკემბერი / **2015 წ.**

შპს თბილისი ჰაუსი.
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს
რაიონი, გამსახურდიას გამზ., Iკვ., კორპუსი 6ა,
ბინა32

თქვენი 18.11.2015 წლის #84493/07 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შპს ,,თბილისი ჰაუსი"ს კუთვნილ ტერიტორიაზე (საბურთალოს ქ. #63-ის მიმდებარედ საკ/კოდ 01.10.15.026.036) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრას, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად და შპს ,,ფორესთ კომპანი"ს დასკვნის თანახმად, სამსახური თანახმაა მოიჭრას 4 (ოთხი) ძირი ზეხმელი კაკალი დიამეტრებით: 23.6სმ, 16.3სმ, 13.9სმ, 19.8სმ, 2 (ორი) ძირი ნახევრადხმელი კაკალი დიამეტრებით: 9.9სმ, 18.2სმ, 4 (ოთხი) ძირი ნახევრადხმელი ვაზი დიამეტრებით: 5.7სმ, 5.2სმ, 5.1სმ, 6.4სმ, 4 (ოთხი) ძირი თუთა დიამეტრებით: 19სმ, 8.2სმ, 11.8სმ, 16.7სმ, 1 (ერთი) ძირი აკაცია დიამეტრით 9.6სმ, 1 (ერთი) ძირი ზეხმელი იუდას ხე დიამეტრით 8.6სმ, 1 (ერთი) ძირი ნეკერჩხალი დიამეტრით 16.6სმ, 1 (ერთი) ძირი იფანი დიამეტრით 12.6სმ, 2 (ორი) ძირი ნახევრადხმელი ნუში დიამეტრებით: 22.5სმ, 25.5სმ, რომელთა ღირებულება შეადგენს 6416 (ექვსიათასოთხასთექვსმეტი) ლარს. გაცნობებთ, რომ მეპატრონე ვალდებულია გადაიხადოს ხეების აღდგენითი ღირებულება ამავე კანონის მე-2 თავის მე-5 მუხლის შესაბამისად და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის
უფროსი

ნინო სულხანიშვილი